ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4575887

ნომერი: AR1688886

თარიღი : 20.06.2019

გაცემის თარიღი : 09.07.2019

გაცნობის თარიღი : 10.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი საცხოვრებელი რაიონი , (ნაკვეთი 003/001) ; ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , მიმდებარე ტერიტორია , (ნაკვეთი 03/006);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხაჭაპურიძე პ/ნ 01023005846
- თბილისი ქსნის ქ. კორ. 12 ბ. 11

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში,

სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, საცხოვრებელი რაიონი, (ნაკვ. 003/001)/ დიდი დიღომი, მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვ. 03/006), შპს "REF SERVICE"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის (დაცვის ჯიხურის) განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 882017226302 24.03.2017 წ., საკადასტრო გეგმა №01.10.06.001.224, არსებული ფოტო და საპროექტო ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის დატანით) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, საცხოვრებელი რაიონი, (ნაკვ. 003/001)/ დიდი დიღომი, მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვ. 03/006), შპს "REF SERVICE"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის (დაცვის ჯიხურის) განთავსების შესაძლებლობას.

---

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.